



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 სექტემბერი 2024



N 494/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 566 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთი ჭაბურღილის სახით, რომლის ფართობი შეადგენს 0,07 ჰა-ს. წიაღისეულის ობიექტის GPS კოორდინატებია: X-558216.37, Y-4628934.55. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ არსებული ჭაბურღილიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 840 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოური-კარსტული წყლების ალაზნის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია ალაზნის სერიით, რომელიც ვრცელდება 550 მეტრის სიღრმემდე და მასში გამოიყოფა ორი – გურჯაანის (ქვედა) და თელავის (ზედა) წყალშემცველი ჰორიზონტი. თელავის წყალშემცველი ჰორიზონტი 65 მეტრის სიღრმემდე წარმოდგენილია ორი წყალშემცველი ფენით, 3,0-9,3 მეტრის და 62-63 მეტრის სიღრმეებზე. მათგან პირველი ფენა აგებულია ქვიშის შემავსებლიანი კაჟარ-კენჭნარით, ხოლო მეორე ფენა – წყალმარცვლოვანი ქვიშებით და კარგად დამუშავებული, მცირე ზომის ქვარგვლებით. გურჯაანის წყალშემცველი ჰორიზონტი განლაგებულია 120-500 მ სიღრმეზე, აგებულია 80 მ-მდე სიმძლავრის ქვიშის შემავსებლიანი ხრეშოვანი ნალექებით და შეიცავს 9-მდე წყლოვან შრეს, რომელთა სისქე 1-დან 60 მ-მდე იცვლება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მორფოლოგიური თვალსაზრისით, არსებული ჭაბურღილი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სართულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სართულის კატეგორიას. წიაღისეულის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები შესწავლილია პროგნოზული საექსპლუატაციო მარაგების შეფასების სტადიაზე. სალიცენზიო ტერიტორიის შესწავლის ხარისხის გათვალისწინებით, წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> რაოდენობის მიწისქვეშა წყლის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებულია C<sub>2</sub> კატეგორიით. არსებული ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე 280 მეტრს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ქიმიური შედგენილობით, თელავის წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა, რომლის საერთო მინერალიზაცია 1,4 გ/ლ-ს შეადგენს, ხოლო საერთო სიხისტე 4,1 მგ/ექვ-ის ტოლია. გურჯაანის წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები, ქიმიური შედგენილობით, ჰიდროკარბონატული ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა, რომლის საერთო მინერალიზაცია 0,6-1,3 გ/ლ-ის, ხოლო საერთო სიხისტე 1,6-6,5 მგ/ექვ-ის ფარგლებში მერყეობს. ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა 12-13°C შეადგენს, სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მოპოვებული წყლის გამოყენება სამეწარმეო დანიშნულებით შესაძლებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტი არსებულია და საჭიროებს მხოლოდ თავმორთულობის მოწესრიგებას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას. შესაბამისად, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომლებსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წიაღითსარგებლობის ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.


**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წელიწადში 150 000 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მაია ბერაძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/494-21-4-202409051527>

